კოოპერატივი „რკ. ნაგომარის აგრო სახლი“

ს.კ 437068021 ოზურგეთის რაიონი, ს. ნაგომარი. ელ. ფოსტა: NAGOMARI.AGRO.HOUSE@GMAIL.COM: მობ. 592332133

„-24-„ აგვისტო-„ 2022 წ

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაგომარის ტერიტორიაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, „დანერგე მომავალი“-ს პროგრამის ფარგლებში კოოპერატივი „რკ ნაგომარის აგრო სახლის“, ფიზიკური პირების (ზაზა ჩარგეიშვილი, ილია ყამარაული, ბესიკ წიქორიძე, ლერი კვასტიანი) და ფ/პ ბესიკ წიქორიძის მიერ სასაოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (კოოპერატივი 26.11.06.029, ფიზიკური პირები 26.11.06.062; ბესიკ წიქორიძე 26.11.06.058) გაშენებული იქნა ლურჯი მოცვის პლანტაციები.

პლანტაციების სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად ნარგავების გაშენების პარალელურად მოწყობილი იქნა წვეთოვანი სისტემა. წყალაღება ხდება ბუნებრივი გუბურადან, ერთი სატუმბი სადგურით.

ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წყალაღებას ახორციელებს კოოპერატივი „რკ ნაგომარის აგრო სახლი“, რომლის მიერაც ხდება წყლის მიწოდება სამივე მიწის ნაკვეთზე გაშენებულ პლანტაციაზე.

რადგან სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 1.3. პუნქტით გათალისწინებულ საქმიანობას, სააგენტოში წარმოდგენილი იყო სკრინინგის განცხადება (N3894), რომელზედაც სააგენტოს 17.08/2022 წ. N21/4500 წერილით გამოგვეგზავნა შენიშვნები, ცალკეული საკითხების დაზუსტების მიზნით.

წარმოგიდგენთ შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებულ სკრინინგის განაცხადს. გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადნი დაქვემდებარების შესახებ.

დამატებით გაცნობებთ, რომ რადგან სამელიორაციო სისტემა ჩვენს მიერ უკვე მოწყობილია, სკრინინგის გარეშე საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩვენს მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევსათა ოქმი, რომელიც განსახილველად გაეგზავნა სასამართლოს.

დანართი: სკრინინგის განაცხადი და ელ. ვერსია;

ტერიტორიების shp ფაილები.

პასუხები სააგენტოს 21/4500 წერილით გამოგზავნილ შენიშვნებზე.

პატივისცემით
ბესიკ წიქორიძე
გამგეობის თავმჯდომარე

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
25 08 2022 წ.
№ 4314